

საქართველო

№ 41

1917

„ზ ს ი“

ლ. ზაქარაიძე
მხატვარი



ტერე შჩენკო. წადი ქაღალტონო, მეგრამ არა მეგონია ჩვენმა მოკავ-
შირეებმა ვაგატარონ. წადი, ენახოთ...

მკირფასნო

თანამშრომელნო და მკითხველნო.

22 ოქტომბერს სრულდება მეორე წლისთავი ჩვენი უსა-
ვეარლესი მკონის

სოლომონ ზუკვილიძის გარდაცვალებიდან.

მოგვაწოდეთ მისი ხელნაწერები, ნაკვესები, აფორიზმები
და ლექსთა ნაწევრები.

კიდევ მკითხველებისადმი.

ყველაზე ცუდ მდგომარეობაში დღეს, განსა-
კუთრებით ჩვენში, გამომცემლობის საქმეა. და
შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ბევრი
გამომცემლობა იძულებულ იქნება თავისი არსე-
ბობა შეაჩეროს. ასეთი კითხვა ჩვენ ჟურნალის წინ
უკვე დადგა. გამომცემლობას დღეს დაახლოებით
ოთხასი მანეთი დეფიციტი აქვს თვიურათ. ცხადია
ასეთ პირობებში ჟურნალის გამოცემა უნდა შეჩერ-
დეს. მაგრამ, გამომცემლობის აზრით შეჩერებას
ჯობია კიდევ ფასის მომატება, თუცაღა ფასის მო-
მატება ყოველთვის ვერ აუმჯობესებს შემოსავლის
რაოდენობას, ვინაიდან როდესაც მეტი ღირს ჟუ-
რნალი, ნაკლები იყიდება. ყოველ შემთხვევაში

საჭიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს რა
განსხვავებაა ხარჯებში მას შემდეგ, რა რომ ჟურ-
ნალს ფასი მოემატა. პირველი: ქალაქი, რომელიც
ღირდა 22 მანეთი, როდესაც 25 კ. გავხადეთ მა-
თრახნი, ახლა ღირს ოხმა ორმოცი მანეთი. აწყობა
და დაბეჭედა ღირდა 150 მ. ახლა ღირს 180 მან.
ცინკოგრაფია დებულოზდა დიუმზე 50 კ. ეხლა
დებულოზს 80 კაპეიკი. ყველა ზემოთ ჩამოთვლი-
ლი ხარჯების დასახურავათ საჭიროა ჟურნალის
ფასი ვადიდდეს ათი კაპ. მინიმუმი. გამომცემლო-
ბამაც ვადასწყვიტა განაგრძნოს ჟურნალის გამოცე-
მა და ფასი ვაადიდოს 35 კაპეიკამდი. მაშასადამე
დღეიდგან ჟურნალი „ემშაკის მთრახნი“ ეღირება
35 კაპ.

კანტორა „განათლება“

კ ა ტ ა

(სადღესო იგავი)

პატარა,

გამხდარი.

ძვალტყავათ ქცეული

ქუჩაში ფისუა ვიპოვნე ყული.

საბრალოს შიშხილით სინსილა გასცლოდა...

(ფეხებსაც გაფშედა; ცოტა თუ დასცლოდა.)

ვიშვილე მე იგი

და დავაოჯახე...

ყუთხარი: გეთაყვა, თავეები მონახე;

საესეა ბელელი

და კიდობანები,

სარდაფი, ზანდუკი

თუ აივანები...

მე ჩემი ლექცია აღარც კი დამცალდა,

რომ საქმე თავისი მან უკვე გასწაღდა.

ყურები დასკქვიტა,

ისკუპა,

გადახტა...

და თქვენს მტერს ისეთი, თავგს ყოფა გადახდა.

— უი ქა!

შენედეთ რა მონადირეა?

კატა ჩვენ ოჯახში

ამგვარი გვეჭირია!..

(შესძახა ალათიმ და იგი, პატარა

მთელი დღე ოთახში შვილივით ატარა!)

საუზმეთ მიართვა

რძე წამონადუდი,

წიწილის ბარკალი, ყველი და ნადუდი.

სადილათ კატლექტი

და წვენი საამო

ამგვარი ვახშამით გათავდა საღამო.

ასე დღეს.

ასე ხვალ.

შაბათს, თუ კვირასა...

ხტუნაობს კატუნა, გადადის ყირასა.

განცხრომის დღე დღეს სდევს

და ღამე ღამესა

ყველი,

რძე,

ქათმები მას შეაჭამესა.

გასუქდა კატუნა და გაგვიბატონდა

წვენი ისე არ სქამდა ხორცს თუ არ ატანდა.

ხვრინავდა ბალიშზე

ლალ გადაწოლილი

ნასმევი,

ნაჭმევი

სინახით მოვლილი.

თავებზე არც ფიქრობს... ან რაღათ სჭირია?

თუ ღვიძავს

უთუოდ რძეში აქვს ცხვირია.

მორიელი.

თ ა თ ბ ი რ ი.

(ასტრინომიული ფელატონი).

თავმჯდომარე პლანეტთა პროფესიონალური კავშირისა, ამხანაგი მზე, აგერ მეოთხე წელიწადია თვალყურს ადევნებს პატარა ციავის, დედა-მიწის მდგომარეობას და გონს ვერ მოსულა.

— ნეტავ რა ხდება ამ პაწაწინა ბურთზე ასეთი ახრებული და თავბრუ დამხვევი, რომ სამი წელიწადი ბული და კორიანტელი გარს ახვევია? გასძახა მზემ მერკურის, რადგან ის უფრო ახლო უდგას და მუდამ თვალეში შეჭყურებს მას.

— არ ვიცი ძვირფასო მეგობარო მეც კარგა ხანია ვატყობ, რომ ახრებული ელფერი დაედო. ვენერა ახლო უფლის და იმასა ვკითხოთ, იქნებ იმან გვათხრას სიმაბოლოე.

— ვკითხოთ, ვკითხოთ დაეთანხმა მზე და ჩქარა ვენერასაგან პასუხიც მოისმინა.

— საყვარელო ამხანაგებო!—დაიწყო მან,— დედამიწა მძიმე ავთამყოფია. ჩემი აზრით საშიშარი სიცხე უნდა ჰქონდეს. თვალეები ისე საშინლათ უპრიალეებს, რომ გეგონება ნაპერწკლებსა ჰყრისო. შარშან ზაფხულში ცოტა უფრო ახლოს მივუდექი და კინაღამ დავიხრჩვი, ისეთი ტრუსის სუნი ამოდის მისგან.

— მარსისთვის ხომ არაფერი გეკითხავს?

— იმ შემოდგომაზე გადავეყარე სალაპარაკოთ. ფეხმოტეხილი გეგონება ადამიანს ისე დაწოჩავს, ვერც კი მოვასწარი კარგათ გამოკითხვა. მხოლოდ

ორიოდ სიტყვა გაგიგონე: ჩემი მეზობლის საქმე ცუდათ უნდა იყოს, ვგონებ რალაც მატლები გასჩენია და სჭამენო.

— იქნებ მართლაც გაუჩნდა რაიმე მატლი! ქირისუფლის კილოთი ჩაილაპარაკა დიდებულმა მშემ და განავრძო, — საჭიროა იუბიტერის აზრი შევიტყოთ.

— იუბიტერი უფროსია, ვინ იცის, იქნებ გვირჩიოს რამე, — შენიშნა მერკურიმ.

— აი ეხლავ შევეკითხები. — წარმოსთქვა მშემ და მხურვალე სხივთა კონა გასტყორცნა ქაღარა იუბიტერისაკენ. იუბიტერის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ვისზე მეკითხები დიდებულთა მნათობო, — მყისვე უპასუხა მან პირდაპირი მართულით.

— როგორ თუ ვისზე მეგობარო, განა არ გინახავს ჩვენი მოკავშირე ბატარა ციაგი, დედა-მიწის რომ ვეძახით?!

— გფეციები შენს ნათელ სხივებს, მე ის არ შენახს.

— როგორ, თვალიც არ მოგიკრავს?

— სრულიად არ ვიცი, წინა დროებაში ვხედავდი რალაც სინათლეს, მაგრამ მეგონა ის მარსის ფარანი იყო. აღარც კი მახსოვს როდის გაქრა.

— აბა ერთი სატურნს შეეკითხე, იქნებ იმან მოჰკრა თვალი.

იუბიტერმა მყისვე გამოიძახა სატურნი და შეეკითხა დედა-მიწის შესახებ. სატურნი სიცილით მოკვდა ამ სახელის გაგონებაზე, ვინაიდან მას არა თუ ნახვით ენახა, არც კი გაეგონა „დედა-მიწის“ სახელი.

— დედა-მიწა! ნუ თუ ასეთი ვინმე სცხოვრობს ჩვენს ახლო ძვირფასო მეზობელთა? სიცილით შეეკითხა სატურნი იუბიტერს და სათვალეები გაიკეთა, რომ უკეთ ჩაჰკვირვებოდა მსოფლიოს დაუსრულებელ სივრცეს.

— ნეტავ სად იმალება ის კაცუნა, რატომ ერთხელ არსად წამომიჩვენა... ბუზღუნებდა სატურნი და დაჯინებით აცქერდებოდა იმ ადგილს, რომელზედაც მეზობელი უთითებდა.

— რომ დაძვალა ვერაფერს ვხედავ. იქნებ ურანს უნახავს სადმე. მოიცა ერთი შეგვეკითხო.

დასძინა სატურნმა და პირი მსოფლიო უფსკრულისაკენ იბრუნა.

დედა-მიწის ხსენებაზე ურანს ისტერიული სიცილი აუტყდა, იმზომ ახალი და მოულოდნელი იყო მისთვის ამ სახელის გაგონება. სატურნს შიშაც შეეპარა არ გაგიყდესო, და სთხოვა ნებტუნს შეჰკითხებოდა, თუ მისთვის უცხო იყო ის სახელი. ის რაც ნებტუნზე მოხდა, ყოველივე მოულოდნელობას აღემატა. მას არა თუ დედამიწა, არც მარსი და სხვა წვრილი მოკავშირეები ენახა.

— თქვენ იქნებ მოგვიჩვენათ მეგობრებო. გადმოსძახა ნებტუნმა, რადგან მას ვერ წარმოედგინა მის მეზობლად ასეთი უჩინარი ბურთის არსებობა.

მთელი კავშირი საგონებელში ჩავარდა. მზე, თავმჯდომარე ამ კავშირისა საშინლათ დააღონა პლანეტათა შორის ნაციონალური გრძნობის სისუსტემ და საყვედურის კილოთი შენიშნა:

— სირცხვილია, შვილებო, თქვენი ძმა, თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენი მოკავშირე და მოკეთე გასაქირში იყოს და თქვენ მის ამბავს არ კითხულობდეთ.

— განა რა ჩვენი ბრალია, ვერა ვხედავთ და ვისი ამბავი ვკითხოთ. აი როცა წამოიზრდება კიდევაც შენიშნავთ და თვალ ყურსაც დავიჭერთ მასზე — დინჯათ შენიშნეს დიდმა პლანეტებმა.

— ეგერიკა! მოულოდნელათ წარმოსთქვა იუბიტერმა — მე ვიცი ვინ გვეტყვის მის ამბავს.

— ვინ? ვინ? ერთხმათ შესძახეს პლანეტებმა. და ცნობის მოყვარებით აღვხნებულნი თვალები მიაპყრეს ბუმბერაზ კიავს.

— კუდიანი ვარსკვლავი ჰალილეისა, დინჯათ წარმოსთქვა იუბიტერმა. — ის ამ შევიდოდ წლის წინათ იყო იქა და ალბათ ყველაფერი ეცოდინება.

ამ სიტყვების გაგონებაზე მზეს ისე გაუბრწყინდა თვალები, რომ ნებტუნსაც კი ოფლი დასხა.

მშემ დიდხანს ეძება ჰალილეა, თავისი ნათელი თვალებით, მაგრამ ის მის რაიონში არ აღმოჩნდა. ნებტუნმა მოახსენა, რომ ამ დღებში ჩემს ახლოს გაიარა და მიიმალოა.

მხოლოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ შეასწრო მას თვალი დიდებულმა მნათობმა და გადასცა სურვილი თავისი და თან მთელი პროფესიონალური კავშირისა.

კუდიანი ვარსკვლავი ჯერ თუმცა უარზე იდ-

გა, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა საერთო სურვილს მეზობლებისას და აღუთქვა მზეს შემდეგი კვირისათვის ვრცელი მოხსენების წარმოდგენა ამ სათაურით:

„ჩვენი ძმა დედა-მიწა და მისი ვითარება.“

მეც ვეცდები შემდეგ ნომერში ვრცლათ გავაცნო მკითხველთ მოხსენების დედა აზრი.

მანდამი მოთმინება იქონიეთ.

ეშმაკი.

შაკადა

იარაღია ერთგვარი,
დაბლით ზე ასაცოცები...
(იაკობს სიზმრად ზეცამდეც
ეჩვენა გასაცოცები.
ზედ ანგელოზნი დახტოდენ
უფალიც ჩამოსდიოდა.
ქიდაობისა შემდგომად
იაკობს გვერდიც სტკიოდა.)
გაგებრხოთ ეს იარაღი
ჩვენ ორ თანასწორ ნაწილათ...
შარადისათვის პირველი
სჯობნის მეორეს ას წილათ.

აწ ვინახულოთ ოდიში,
რაქა და იმერეთია,
მათში გაბმული მდინარე
ის მხოლოდ ერთად ერთია.
რაქას ჩაუდის ჩრიალით,
იმერეთს კრიმანქულითა,
ოდიშს უმდერის ძილის პირს
თვალ მიბნედილი რულითა.
დღეს უწყნირათ მდინარი
ხვალ რისხვით დაგეკვეთება
(შარშან წინ იყო ქუთაისს
მან რო უჩვენა ფეთება)
არგონავტთაგან ცნობილ არს
ძვირფასის ოქროს ქვიშითა,

სხვებრ თუ ვერ სცანით, ვიმელობ ამოხსნით ამა ნიშნითა.

რო შეერთდება ეს ორი:
სიტყვა და სიტყვის ნაქერი,
ყველა მორწმუნე ქართველი
ჰხამს პირჯვარ გადანაწერი.

კოლო.

„პირლაპირი“ ვაგონი.

(გუძღვნი ქუთაისის გუბერნიის კომისარს)

ბევრს არ დავიტრახებ და ევროპის რუსეთში-კი მიმგზავრია.

მიმგზავრია ყველა კლასის ვაგონით: პირველით, უფრო ნაკლებათ, მეორეთი და მესამეთი-უფრო ხშირათ.

ვჯდომილვარ მეოთხე კლასის ვაგონშიდაც, რომელსაც რუსის მდაბიო ხალხი „მაქსიმ გორკის“ უძახის.

ბევრჯერ მიმგზავრია საქონლის ვაგონითაც, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი წარწერა აქვს: *Для 36 нижних чиновъ или восьми лошадей.*“

ნეტარ ხსენებულ „ბიტი გოდაში“ პარავოზითაც ბევრი მიქროლია. ვაგონეტკაზე მოგზაურობის დროს გელათსა და ქუთაისს შორის ერთხელ კისერი მოვიტეხე ხამე.

ფეხითაც ღიღი მანძილი გამიკეთებია რკინის გზაზე.

ერთი სიტყვით, რკინის გზით მიმოსვლის ყოველი საშვალემა გამომიცილია.

ლურჯათ, ყვითლათ, მწვანეთ, ნაცრის ფრათ და წითლათ შედებილი ვაგონები – ყველა მინახავს; ყველაში ვჯდომილვარ ან ეწოლილვარ (თუ როლისმე მრგებია ასეთი ბედნიერება!).

მაგრამ ისეთი ვაგონი, რომელიც ქუთაისსა და თფილისს შორის მიდი-მოდის და რომელსაც „პირ დაპირს“ უძახიან, მე ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს.

ვისაც უბედურება ქონია ამ ვაგონით მოგზაურობისა, ის დაუმტკიცებლათ დამეთანხება დასახელებული ვაგონის უცნაურობაში.

ვინც ისე ბედნიერიაა, რომ ქუთაისის „პირდაპირი“ ვაგონით ჯერ არ უმგზავრია, ისიც მალე გაიზიარებს ჩემს განცვიფრებას, როდესაც ამ ეპისტოლეს ბოლომდის ჩაკითხვას.

დავიწყეთ გარეგნული თვისებების აღწერებით. ქუთაისის „პირდაპირი“ ვაგონი მატარებელს სულ ბოლოში აქვს მიბმული.

ამ გარემოებას გონიერი პირები იმითი ხსნიან, რომ ბოლო ვაგონის მოხსნა და მიბმა აღვილია საჭიროების დროსა.

ეს მოსაზრება უსათუოდ მართალია, მაგრამ არა სავსებით.

ჩემი აზრით რკინის გზის ადმინისტრაცია ამით თვალსაჩინოთ ეუბნება გულუბრყვილო მგზავრებს: ხომ თქვენი თვლებითა ხედავთ უკანასკნელი ვაგონია, ნუ გარბიხართ იქითკენ. ნუ თუ ვერ ატყობთ, რომ განგებ გვაქვს სულ ბოლოში მოქცეულია?

გულ უბრყვილო მგზავრი მინც არ უჯერის ამ თვალსაჩინო გაფთხილებას და თავისი ბარგი ბარხანით შირბის „პირდაპირ“ ვაგონში.

„პირდაპირი“ ვაგონი ორ ნაწილათ არის გატხრული: წინა ნახევარი უკავია მესამე კლასს, უკანასკნელი ნახევარი-კი მეორეს.

აქაც ვაგონის ასეთ დანაწილებაში დიდი ღრმა აზრია დამარბული, ვისაც უადგილობის გამო მიმდგარი გაჭირვებით ან ცნობის მოყვარეობით. (თუ ცნობის მოყვარეობა-კი არა გონებაც არ დაკარგა იქ მოხვედრილმა მგზავრმა!) „პირდაპირი“ ვაგონის პირველი ნახევარისათვის თვალი მოუკრავს, აშკარათ დარწმუნდებოდა, რომ ამ ტყუბ ვაგონში მესამე კლასი სჯობია მეორე კლასის ნახევარს*)

დაკმაყოფილდეთ ამ საერთო შენიშვნით და დაფიქრდეთ ისევ უკანსკენელ, ანუ მეორე კლასის ნახევარს.

მიუხედავად იმისა, რომ სასტიკათ აკრძალულია, როგორც ძველი ისე ახალი კანონით, ვაგონის გაღება პირველი ზარის მიცემამდის, „პირდაპირი“

*) ამ გარემოებას დრმა ზოდებიტეკური სანხუდი უნდა ქანდეს. აქ რკინის გზის ადმინისტრაციას ცსფრებაში გატარებული უნდა ქანდეს „ბოლშევიკური“ დოზუნგი: „ძირს ბურჟუაზია, გუმრჯაოს ჭარისკაცებს და მუშებს.“

რი“ ვაგონი (სხვა დანარჩენ ვაგონებზეთ) მგონი არასოდეს არ იცეცება. სანამ ბაქანზე მოდგებოდეს უკვე გაქედლია ხაბაკებით და მგზავრებით.

საბრალო მომთმენი და დარბასიელი მგზავრები-კი ვაგზლის დაშულ ბუფეტში არიან ამ დროს ჩაკეტილი და მოუთმენლათ მოელიან პირველი ზარის ჩამოკრას

აი ჩამოკრეს ზარიც. ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდება გასავალ კარებთან, რომ გვეგონებათ მეორეთ მოსვლა მოსდევს ხალხს უკანო. თუ ცირკის მოქიდავესავით არა ხარ გამოწყობილი, მთელი აღარაფერი შეგარჩება ტანზე: ყველაფერს შემოგახვევენ; ყველაფერს შემოგაგლიჯავენ, გვერდებსა და ხელ-ფეხებს დაგამტვრევენ; დაგიღწეავენ.

მერე აზრი ქე მინც ქონდეს რამე ამ აუწყრელ უბედურებას!

ადგილები ვაგონში ყველა უკვე დაქერილია*) „წინადახედული“ მგზავრებისაგან და ეს საბრალო ხალხი სულ ტყუილა უბრალოთ აღეწავს ერთმანეთს გვერდებს. სულ უმიზეზოთ აგინებენ ერთიმეორეს.

ესთქვათ შეგეწია თქვენი მფარველი ანგელოზი და მიახწიეთ ცოცხალმკვდარმა „პირდაპირ“ ვაგონამდი. ვაგონი უკვე იატაკიდან ქერამდე გაქედლია. უკან გამობრუნება იმას ნიშნავს, რომ სულ დარჩები. უნდა მოიკობო უკანასკნელი ძალღონე, მოიმარჯვო მკლავები და დაიწყო შიგნიტკენ ცოცვა. ტრადიკული მომენტია, მაგრამ ქუთათური ახალგაზდობა აქაც ტრადელიას კომედიათ ქმნის და უმწვერვალეს გაჭირვების დროს, როდესაც სული კისერში გაქვს მომდგარი უზომო სიბრაზისაგან, — ასეთ დროს ნელი ხმით წაუღიღინებდენ: „ხელიც მისკენ მიცოცავს, მიცოცავს, მიცოცავს.“

პირვლათ ეს უბრალო მზიარულობის გამომხატველ დილინათ მომეჩვენა, რამაც ცოტა არიყოს დამაწყნარა, თუმცა მინც მიკვირდა: ამ საშინელ ჯგლეთაში რა აღიღინებთ მეთქი? ბოლოს შევიტყე, რომ ამიღიღინს სულ სხვა აზრი ქონია. ეს ჯიბიტირების ხელეების ცოციალიდან მგზავრების ვახაფრთხილებელი ჰიმნი ყოფილა.

*) ნუ თუ ეს გარემოება ან მოკესხებათ სადგურის კამისარებს? წარმოადგიხთ ამ ბორბტუასთან ბრძოლა შეუძლებელია? არა მგონია.

ძალიან მომეწონა. თუმცა არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ გაფრთხილებას ნაციონალისტური ცალმხრივობა ემჩნევა. ქართველს-კი გააფრთხილებ, მაგრამ ვინც ქართული არ იცის, იმას რას უშვებ? ალბათ ყველაზე მეტია. უცხო ერების მგზავრები ხარალობენ ჯიბიერებისაგან ამ გზაზე მიმოსვლის დროს.

„პირდაპირი“ ვაგონის შინაგანი მოწყობილება ასეთია: კედლები საშინლათ დაბალი. დასაწოლი და დასჯდომი ადგილები ძალიან ვიწრო და მოკლე. თვითონ გახლდით იმისი მოწამე, თუ როგორ დააქრეს ღამე პრაპორშიკებმა ფეხები ერთ მგზავრს, სახელობ ამ გ-ტა ფვას. ეს ამხანაგი ცოტა მოგძო ტანისა არის. რაღაც მანქანებით საწოლი ადგილი ეშოვა. მაგრამ ზედ ვერ მოთავსებულყო და ფეხები, მუხლებს ქვევით, ძირს გადმოელავებია. და რადგან მგზავრების საერთო აზრით მას ბილეთი ერთი კაცისა ქონდა, ხოლო ადგილი ორისა ექირა: ერთის დაწოლილის და მეორესი ფეხზე მდგომის, გადაწყვეტილათ ფეხები მოცეკვლებიან ტანისათვის. როგორც უბილეთო ვაგონიდან გაემქვებიანთ. შენი მტერია განძრახვას სისრულეშიდაც პაიყვანდენ, რომ იქ არ დავსწრებოდი იღბლათ.

მე წინადადება შევიტანე, ვინაიდან ყველა მგზავრს აქვს ბარგის თან წარღების უფლება; მაგ გძელი მგზავრის ფეხები მის ბარგათ ვიგულისხმობთ და საბარგე თაროზე შევწყოთ მეთქი. ყველამ მოიწონა ჩემი წინადადება პრაპორშიკებმა ლეკურები ჩაავეს. მე ავდექი და ბაწრით მაგრათ მივაკარი გძელი მგზავრის კიდევ უფრო გრძელი ფეხები საბარგო თაროზე. ასე გადავარჩინე ერთი მგზავრი ფეხების დაქრას. მაგრამ ყოველთვის ხომ მე არ დავესწრები?

„პირდაპირი“ ვაგონში დასაჯდომი ადგილები კიდევ უარესია დასაწოლზე. საწოლი ფიცარი იმდენათ დაბლა არის დამაგრებული, რომ დასაჯდომ ადგილზე გამართულათ დაჯდომა მხოლოდ პატარა ბავშვებს და ლილიაუტებს შეუძლიათ. დანარჩენები ხუთჯერ უნდა მოიგრიხონ წელსა და კისერში, რომ იქ მოთავსდენ. პატიოსნებას გეფიცებით, გარეშე ადამიანს ვგონება ეს ვაგონი დამნაშავეთა გამსწორებელი ვაგონია სპეციალური ბიზანით გაკეთებულო. აბა სადგავონილა, რომ ვაგონშიდ ადამიანი,

თუნდა საშუალო სიმაღლის მაინც, გამართული, ადამიანურათ ვერ დაჯდეს?

წარმოვიდგინოთ, რომ აქაც ისაშველოთ! რამე და დაგრება-დაკეცვით მოახერხეთ დაჯდომა. არ გეგონოსთ ბედის მადლიერი დარჩეთ!

სამიოდ წუთის განმავლობაში მთლათ მშვიერი ბალღინჯოებით დაიფარება თქვენი ტანი. ბალღინჯოების მეტი რა მინახავს, მაგრამ ამისთანა უსიტცვილო, ასეთი მწარე მოკბინარი და ამდენი, როგორც „პირდაპირ ვაგონშია, მე არსად შეგმხედრია!

რომ არც ეს არის გადაქარბებული ჩემის მხრით რკინის გზის მმართველობის დასამცირებლათ ამასაც მე მგონია ბევრი მგზავრი დადასტურებს.

ბალღინჯოებიდან განამწარებს, რომ ზეზე წამოდგომა გინდოდეს და ამ საშინელი ადგილიდან გაქცევ; ესეც არ ძალ გიძს. ადამიანთა სხეულის ყოველი ნაწილები ყოველი კუთხით ისეა ჩაყრილი, რომ, თუ ადამიანთა სხეულებზე არ გადიარე, ვერსად ვერ გადგამ ფეხს. ასეთი თავხედი მგზავრი-კი ბევრი არ მოიპოება. ამიტომ უნდა მიუშვიროთ თავპირი და მთელი სხეული ამ საშინელ მკენარებს და უყურო, როგორ გწუწიან წვეთწვეთათ სისხლს ტანიდან!

არას ვიტყვი სხვა საერთო სიბინძურისა და ვაგონის ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ. ამ სიბინძურის ასაწერათ ჩემი კალამი სუსტია და მკითხველსაც მოგერიდებია.


„პირდაპირი“ ვაგონის გადაბმა, გაჩერება და ადგილიდან დაძვრა საშინელ მიწის ძვრას მოგაგონებთ ყოველთვის. ამ დროს უხვათ ცვივა მალლა თაროებიდან ბარგი და მძინარე მგზავრები. ასეთ მაგარ შენძრევას ადგილი აქვს ყოველ სადგურზე გაჩერებისა და დაძვრის დროს.

ერთი სიტყვით, რომ ბევრი კიარ გავაგრძელო ისედაც გძელი წერილი. ვიტყვი, რომ ერთი თვით მეტეხის ციხეში ჯდომა შერჩია ძველი რეგიმის დროს ერთ ღამეს ქუთაისიდან თფილისამდე „პირდაპირი“ ვაგონით მოგზაურობას.

ახლა ვიკითხოთ, რას ნიშნავს ამ ვაგონისათვის წოდება „პირდაპირი“. რასაკვირველია არა იმას, რომ ეს ვაგონი, როგორც რიონზე გადაუჯდომლათ მგზავრის თფილისამდე წამყვანი, რაიმე სანუგეშოს წარმოადგენდეს მათთვის. ეს ჩვენ საქმარისად და-

მასსაჯი პოლიტიკურთა

27 თებერვლამდე სა-
პოლიციო ნაწილში.



27 ივნისიდან აბას-
თუმანის სანატორი-
უმში.

ემშაკმა ცალკე კომისია დანიშნა იმის გამოსარკვევათ, თუ როგორი ღარგის მასსაჯი უფრო უხდებოდა პოლიტიკურებს.

ვინახეთ სიტყვა. „პირდაპირი“ აქ უნდა ვიხმაროთ იმ მოსაზრებით, რომ ამ ვაგონით მგზაურობა პირდაპირ აუწერელი წამებაა მგზავრებისათვის, ეს გადაუჯდამელი კი არა კირდაპირ დაუჯდომე-
ლი და დაუსვენებელი ტანჯვის ვაგონია.

ამ საერთო სიღარიბისა და უბედურების დროს ჩემი ნატვრა შეიძლება ბევრს უგვანათ მოეჩვენოს, მაგრამ მე მაინც არ შემიძლიან არ ვუსურვო ქუთაისის სადღურის კომისარს ამ „პირდაპირი“ ვაგონით ხშირათ მგზაურობა, მხოლოდ თვითონ „პირ-

დაპირ“ ვაგონს ნაფოტებათ დამტვრევა და განა-
ღვურება.

თუ ეს უკანასკნელი სურვილი სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოვლენათ ჩამეთვლება, მზათა ვარ ჩემდა თავათ ამ ახირებული სურვილის გამოთქმი-
სათვის ასი მანეთი ჯარიმა გადავიხადო, ოღონდ კი მოვესწრო იმ ბედნიერ დღეს, რომ „პირდაპირი“ ვაგონის დამტვრევის ამზავი ამომქეთხოს გაზე-
თიდან.

მელა.

სასახლის ქალიშვილები



ო. შლინტ

მუშაობის დაწყებამდე,
 მუშაობის დროს და
 მუშაობის შემდეგ.

დეზერტირობა

კერენსკის ჯარს თუ სკირს
 ეს დეზერტირობა,
 (რომლებმაც წააგეს
 ბრძოლა და გმირობა,)
 ეშმაკსაც დაეტყო
 მხედართა ძვირობა,
 (ქაჯეთშიც ირღვევა
 სამხედრო პირობა.)

„წავიდა თავუნა“
 და განჯის — კარელი,
 ბლიკვიძემც დაგვმართა
 მტრის გასახარელი.
 მათ გაჰყვა ისკანდერ,
 პიტნა და შხანკოლა...
 მეც ბედმა მარგუნა
 იმათი გაყოლა.
 დავტოვეთ ქაჯეთი
 ეშმაკის ამარა,

რადგან ჩვენ დროებამ
 გლახ დაგვასამარა.
 თუმცა მე ეს მომდის
 ჩემს უნებურათა,
 მისმინე, ეშმაკო,
 მოგითხრო ძმურათა.
 წრეს მივლის ვარშემო
 ჩოთქი და დავთარი,
 საყადელ შემას მთხოვს
 წინ მდგომი ზამთარი.
 ბავშვები აჯანყდენ, —
 დედითა მისითა,
 (ჯალაბი ვინ დასვას
 იმედით სხვისითა?)
 „დუქინის“ გაძღობა
 (თუნდ მარტო პურითა)
 ვერ შევსდელ ქაჯეთის
 „მზნე“ სამსახურითა.
 აი რით დავკარგე
 მე ბრძოლის უნარი
 და ამით საქმე მჭირს
 მტრის გასამტყუნარი.
 ჰა ჩემი ფიქრები,
 და ჩემი დარღია!
 თან ამ დროს ასდგება
 „წითელი გვარღია“!
 მუშათა ლაშქარი,
 მშრომელთა ჯარები!!
 (ჯანდაბას სახლის, თუ
 საფაქროს კარები)
 მტერსა სურს იძიოს
 უმართლო შურა,
 ნუ თუ ჩვენ ამ დროში
 ბრძოლა არ გვეწყურია?!
 გვეყუთა სიჩუმე,
 ძირს დეზერტირობა,
 მხედარი ვარგოდეს,
 არ აკლდეს გმირობა.
 შამოკრზეს ქაჯეთის
 დარაჯი ყოველი
 მე ამას ვთხოვლობ
 და ამას მოველი.

ბუტუნა.

ფოთი

(მატარა ამბები ნახუტურის ცხოვრებიდან.)

1. კომისია.

ადგილობრივ საუბნო კრებას ერთი ფრიად საშინელი და უკუჩნებელი სენი შეეყარა. მას ადგილობრივ ენაზე „კაშისას“ უწოდებენ. სენი თავისი სპეციალური თვისებებით ციებას ჩამოგვას; ის ციებასავით ჩუმად, ნელ-ნელა ემარება კრების ორგანიზმს და შემდეგ ერთი გაბეჯული შეტევით სრულიად იზურთბს მის ყოველივე ნაწილს; ის აღუნებს კრების ენერჯიას, აჩერებს მის შიძობას, უხუთავს სუღს და ათბუგს საღაზარაყო ენას. ეს სენი სხვა უბეჯუტებასთან ერთად რაღაც ვადოსწორი ძაღის ჰატრინიც უნდა იყოს. მას ისე მოუჯადოებია მთელი კრება, რომ, მიუხედავად მისგან მიეცნებულ მრავალ ვაჯრ ტანჯვის, კრება არამც თუ ფიქრობს ამ სენის მოშორებას, შირიქით უმისათ ერთი უბრალო ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია, და ვერც ერთი წამითაც მოხდება მას... ჯერ არ მომხდარა აქ ისეთი კრება, რომელსაც არ აერჩიოს 20 კომისია, 40-კომისიის კომისია და 80 კომისიის კომისიის კომისია. როგორც ხელავთ კრების მდგომარეობა სერიოზულაა. საჭიროა სწრაფი საეშმაკო დახმარება, თორემ მოსალოდნელია კრება სრულიად გადაუკვს ამ საშინელ სენს.

2. დორები და მიცხალმზულნი.

რუსეთის რეფორმაციამ შირდაზარ სასწაულება მოახდინა: მან დაამსხვრია ნიკოლოზ მეორეს ტახტი, მიეკუწოდა ყველა საუკუნოებით განაჰქედი შონთბის ბორკილება, აღატმა შეერაზმულება, ციხეში გამოიწვლია პრეკოკატორები, თავსარი დასვა კონტრ-რეფორმაციონერებს, ჩაახუმა ბოლშევიკები და ჩაქროკარნიღოვის შეთქმულებაც კი... მაკრამ მან თითქმის ვერავითარი გაუღანა ვერ იქონია ნახუტურის დორბესე. ეს დნვოსანთ ჯიშის კონტრ-რეფორმაციონერები ძველებურად დაზარაშებს ნახუტურის სამარსში და თავიანთი ბინძური დინგებით მოურბებულად სთხრან მიცკალებულთა საფლავებს და მიხუტავთ საუკუნოდ განსვენებულთა სასტიკი შთატესტებისა უსაზიზდრეს მონადირთბს ეწვენი. დორთა ასეთი კონტრ-რეფორმაციონერი გამოსვლები დიდ აღმოკეთებას იწვევს მიცვალბულთა ჰატრინებს შორის და თავ გასულ დორებს საღაზმავად კიდევაც დაარსეს განსაკუთრებულ

ზარტია, რომელსაც „მიტყალებული ზარტია ეწოდება“. ამ ზარტიის დროშაზე აწერია: ძირს დორები გაუმარჯოს მიტყალებულთა და სსმარხის თავისუფლებას!“ მათი მოთხოვნებიდან შეიძლება: დაუფრებელი დატყერა ვეკლა დორთა გატყებთურთ და მათი სწრაფი სუველე რეფოლიუციონურ სსმართლოთი გასმართლება... მაგრამ, როგორც ეს უფელოფინ ასე ხდება, „მიტყალებული ზარტიის“ დარსებას თან მიტყევა მისი მოწინააღმდეგე ზარტიის სსმართლობრ: „დორთა ზარტიის“ დარსებვა. აბ დორი რის დორია, თუ შედორეს ვერ მიიშრბს! ამ უკანასკნელ ზარტიას კი დევისათ გაუხდია: „ძირს მიტყალებულები! ძირს სსსოფლო! გაუმარჯოს დორთა თავისუფლებას!“ მათი სსმარტრამო მოთხოვნები კი ასეთია: დაუფრებელი სსსოფლოთ ტერიტორიის მდელი მთუკალი დობით შემოფარტევა, შიგ უეკლა კიტყალებულთა-დაშუქევა, რომ არც ერთს მთვანს ირ შექძლოს მადლიდან გადმოფრენა და „თავისუფალ დორისთვის“ ზიანის მიუქნება. ან ამ მრ ზარტიის ზრტრამა და ბრძოლის ხაზი, ვნახთ რომელ მხარეზე გადაისრება ბრძოლის დეშოთი.

3. ზ რ ი

ვინ არ იცის დღეს თუ როგორი არეუ-დარევა შეიტანა მშა ეკონომურ ცხოვრებაში, მისმა აუწერელმა ხარჯებმა შინათქა ჩაუღაზა სსლხის აურებელი სიმდიდრე. მან შეუსუსტა წარმოება; წარმოების შესუსტებამ კი გამოიწვია საქონლის სიმცირე, საქონლის სიმცირემ — სპეკულიანთა. სპეკულიანთა საქონლის სიმცირე და ასე დაუსრულებელი... და უფელოფი ამან კი წირმოვბა ის ზღაპრული გატყერება, რომელიც ჩვენ დღეს ვიმეფობით... მაგრამ სულ სხვანირ მდგომარებაშია ამ მხრით ნახუტურის რესპუბლიკა. აქ არაფერი ამის მსგავსი არ მოუხდენია მის, ზარიქით ამ ომიანობის ხსანში აქ უმიწვერვალებს და განვათარდა ერთნაირი საქონლის წარმოება, რომელიც გაკვირვებაში მთაუვანს უთქელ მსახველს და გამგაფს. ამ წარმოების ნყოფი-საქონელი რადღა ჯადოსურნი ძალითაა აღტურელი. ეს ისეთი საქონელია, რომელიც ადგილობრივი შევიდრი უფელოფი ზირეულ თუ არა ზირეულ მოთხოვნილებას იკმაფეოფიებს. ამ საქონელს ისინი ხმარობენ: სსმელად, სსტყელად, ტანსაცმელად, ფეხსაცმელად, თავსახურად, თავსახურად, სსსურავად და ქვეშატებად! ვგრძნობ, შეთხველო, თუ როგორ განიტყერებთ თქვენ ამ საქონლის სსსელის გაება. ვაქმთაფილებ თქვენს ცნობის მოუფრებას. მას ადგილობრივ ენაზე „ტორს“ ეძახან,

„ტორის“. წარმოება აქ კრიკაფისებური სისწრაფით ვრტელება და ვითარდება ფართო მასში, უწინ ამ საქონლის წარმოებაში მარტო დედაკაციები იღებდენ მონაწილეობას. მაგრამ დახე სსსწულებას დღეს ამ წარმოებას ადგილობრივი მშაკატებრ ჩარეუვია!.. საქონელზე მოთხოვნილება სსათობით იზრდება. მწარმოებლები არ ზოგავენ თავიანთ სიმამტეს და ენერჯიას, რომ დაკმაფოფილენ მუშტრები. გააწვევტილია მწარმოებელთა დჯილდობა მათი უანჯრო და სსზოგადობრივად სსსარტელო შრომისთვის მისჯილი აქვთ თითოც ასანა „ემშვიკის მთარასი“ კული.

4. კამიჩი და ავტომობილი

ამ დღეებში დიწყო ქ. ფოთს და ს. სუფსის შორის ავტომობილის მიმოსვლა... „მაგრამ ხსნრძელი ეს სოფელი გასხრებს ვისმეს განა?“, — დიხსნრძე არაფის ასრებს... და სწორეთ მიმოსვლის დაწვების შორე დღეს ავტომობილის შექანხში დღი კონტრ-რეფოლიუციონური შეთქმულება აღმოჩინეს. შეთქმულებმა ავტომობილი გაბად შუა გზაზე გაანერეს და ერთი ნაბიჯის წინ გადადგმრ არ სურდათ. მაგრამ, აჯანუების თაქმივე ჩასქრობათ, სწრაფდ იქნა გამოწვეული სსლო-მასლო სოფლებიდან წევილი კამიჩი. გაუბეს ისინი ავტომობილში და სწრაფი მსვლელობით გამოაქრლეს ის ქ. ფოთისკენ შეთქმულების საღიკვიდრიობთ.

პოლიკენტა.

ნიკო სუტესი.

ძმო ეშმაკო, ძმობას გაფიცებ, ნუ, ნუ გიძვიცხავ, ნუ დამამინებ; როგორც წესია და როგორც რიგ თანამშრომლობას თუ კი ვერ გიწევი. ნუ გამიწყობი, შენი კენცსამე, ბევრი ვიტანჯე, ბევრი ვეწამე, ყურსა მიგდებდა თვით დღეა—მიწა, და სვით ზეტაა ამის მოწამე. გადამევიდა ნიკო მღვდელი ეს გაიძვირა ღვინის მსმელი... კიცხავს ერთობას, თავისუფლებას ძველი მთავრობის არის მცველი. ამბობს: „მვიღებო არ იქნებოა უმიფოთ ჩენი გამარჯვებოა;

ამ ჩვენს არევის და უმეფობას
მოჰყვება ჩვენი დამარცხებაო.

აწ გერმანია შემოიჭრება,
თქვენი ერთობაც დაიშლებაო;
ტანტზედა ავა ისევ ნიკოლოზ
ნათქვამი ბრძენის გამართლდებაო.

„წითელი მეფე“, აბა ვინ არის!..
თუ არა ჩვენი ნიკოლოზიო;
ნუ, ნუ ენდობით ახალ—თაობას
გვარავნეთ წმინდა ანგელოზიო!..

სოფლის ბიჭ—ბუჭებს თქვენ ნუ აპყვებით,
შენც, ჩემო შვილო, სიკოიო!
მაშა—შვილობამ შენც გაიგონე,
დაიმახსოვრე მაკოიო!..

და ჩვენი სიკო, მაკოიები
იმას უსიტყვოთ, ერთფულემა
შენც კარგად იცი, ძმაო ეშმაკო,
სულ ადვილია მათი ცდუნება...

მეუბნებიან: „ნიკო ხუცესმა“
ფარულად კრება მოახდინაო
და გაუთლელი სოფლისა მუშა
ენით მოხიბლა, შეაცდინაო.

ლანძღავს და კიცხავს ახალ—თაობას
ამბობს: არ მომწონს მათი წესიო
„ცოციალებმა“ რომ გაიმარჯვონ
ვერ დავიჯერებ მე ჩემს დღეშიო.

ასე ქადაგობს: „ღმერთი არ უნდათ
და საკუთრებას უარყოფენო,
საწყალი მუშის ნადაგ—ნაოფლარს
დაებატრონენ და იყოფენო!..

რამდენს რას ამბობს აბა ვინ მოსთელის,
ხელ—აპყრობილი იწყევლებათ;
ვინც რომ დარაჯობს ჩვენს წმინდა საქმეს
ღმერთს მის გაქობას ევედრებაო.

ღამით დაძვრება და კუდამეღობს
ფიქრობს: შოაწყას ამბობნებაო;
ყველა სცნობს იმას, ვინც უნდა იყოს,
ყველგან გავარდა მისი ქებაო..

გაუგეს ნიკოს კომიტეტებმა
ასეთი ბჭობა, საუბარიო,
დააბანდურეს ლაზათიანად
ის გაიძვრა, საზიზღაროო.

ნიკო, ხუცესი სოფლათ ბევრია,
ეშმაკო, შენც კი გეცოდინება;

როგორ მოვექცეთ გვიბრძანე რამე
გექნება ამის გამოცდილება.

მაგრამ სხვა მღვდლებში, კარგათ ვახსოვდეს!
ნუ შეგეშლება გოროდის მღვდელია, ?
ის სხვა მღვდლებივით არ არის ფლიდი
არის მუშაკი, მართლის მთქმელია.

მან ბევრი საქმე აკეთა სოფლად
იესო ქრისტეს მიმდევარია;
მეგობარია დევნილ—ტანჯულის,
აკურთხებს იმას მაცხოვარიო!..

გრიშა იმერელი.

„თავისუფლების მორევი“

(წერილი გურიიდან.)

„მრავალ ტანჯულ გურაის თავი-
სუფლება ეღირსა, რამდენათ გასა-
ხარული იყო ჩემთვის, როგორც
გურჯულისთვის სამშობლოს ნახვა.
იმდროს როდესაც გურა თავი-
სუფლების მორევი ეს ქვესი
თუ შეადი თვე სტურავს...
დ კალანდაძე.

(გაზ საქართვე. 284.)

გაზეთი „საქართველო“ განაგრძობს სარწმუნოებრივი კითხვების გარკვევას. ცნობილ დავით კასრაძეს, „საქართველოს“ საეკლესიო „მილიციონერთა“ თავს, მოჰყვა ფრიად შესანიშნავი ფეხები დ. კალანდაძე. ვასაცაორია, თუ სად შოულობს აღნიშნული რედაქცია ამ დარგის მწერლებს. რუსულათ ამგვარ ტიპებს „инкопаемые“ ეწოდება. მათ პოულობს რომელიმე მეცნიერი ამა, თუ იმ ძველი ნაწარმების გადათხრის დროს. აქ კი საქმე უკუღმა ხდება: არა თუ რედაქცია ეძებს „ისკაპაემიე“ბს, პირიქით თითონ „ისკაპაემიები“ პოულობენ საქართველოს რედაქციას და ამდიდრებენ თავისი იშვიათი ნაწარმოებებით.

როცა მეცნიერი, სადმე ნაწარმეში, ან მიწის სიღრმეში ასეთი იშვიათი გადაშენებული ცხოველის ჯიშს პოულობს, ის განმარტებასაც აძლევს მას, რათა საზოგადოებამ გაიცნოს, თუ რომელ ფორ-

მკობის ეკუთვნის ახლად აღმოჩენილი ჯიში საკვირ-
ველებისა. პატივცემული რედაქცია „საქართველო-
ში“ ასე არ იქცევა და ამიტომ ჩვენ ვხდებით იმუ-
ღებელი მისი საკეთებელი საქმე ეაკეთათ. დავით
კასრადეზე არა ერთხელ და ორჯერ გვქონია მუ-
საფი და „ეშმაკის მათრახის“ მკითხველები ჩინე-
ზულათ იცობენ ამ დარგის არსებებს. საჭიროა
ახლა მკირე ხნით ახალ აღმოჩენილ კრესპოდენტ
დ. კალანდაძეზე შევიჩრდეთ.

დ. კალანდაძე, ეს „ისკაპაემიების“ უკანას-
კნელი სიტყვაა. თითუელი წინადადება მისი კორე-
სპოდენტისა (სოფ. ხიდისთავიდან. გურია) ნათელ
ჰყოფს, რომ ეს სიძველე ერთობ საგრძნობი უნდა
იყოს. ჯერ არა თუ გახეთი, ფარნაოზ მეფეს მხე-
ღრული ანბანიც არა ჰქონია მოგონილი, როცა
ქათველები ამგვარ სისულელეს სწერდენ. მეტსაც
ვიტყვი, დ. კალანდაძის ნაწერი რომ ფარნაოზს
წაეკითხა პირდაპირ სიცილით მოკვდებოდა. არა
გჯერათ? აი მოისმინეთ, ხიდისთაველი ნაწიტი სიძვე-
ლისა დ. კალანდაძე სწერს:

„სხვა დროს სამაგალითო გურია სოფლის ნა-
ძირალების ხმას ასდევს. ავიდეთი თუნდა
ისეთი სერიალური საკითხი, როგორც
სარწმუნოებაა, ამ ნაძირალებმა სოფლები გადა-
რეეს. დმერთზე და სარტზე აადებინეს ხელი.
აი ამისი მაგალითი: მარამბაისთავეში აქუ-
რმა მტხფარებმა თავისი იტი წლის შუაღი, სა-
შუალო სასწავლებლის მოწაფე, ისე დამარსა
როგორც საქონელი, ვიმეორებ როგორც
საქონელი მეთქი უმდგალოთ, წესიც არ
აუგიათ. განა ამაზე შირს წავა გლეხაგის
დაცემა?“

ზემოთ მოგახსენეთ, რომ თუ ეს ამონაწერი ფარ-
ნაოზ მეფეს წაეკითხა უთუოდ სიცილით მოკვდე-
ბოდა და რაკი მოკვდებოდა უმდღელოთ მოუწყედა
დამარხვა, ვინაიდან იმ დროს ჩვენი კურთხეული
ხუცები პროექტშიაც არავის ჰყოლია. მაგრამ რო-
ცა ჩვენ ვკითხულობთ ამავე ამონაწერს სიბრალე-
ლის გრძობა გვიპყრობს იმ კაცმაგვარისადმი, რო-
მელიც იმდენათ ტუტუცი კორესპოდენტია, რომ
საქონელსა და აღმინას მხოლოდ მღვდლის თანა-
დასწრებით, თუ წესის აგების საშუალებით არჩევს.
აქედან აშკარაა, თუ რა ძველის ძველ ცხოველთან
გვაქვს საქმე.

ახალი „ისკაპემი“ დ. კალანდაძე, როგორც
ძველი ჩვენი ნაცნობი დ. კასრადე სხვის თვალში
ხედდენ ბეწვს, ხოლო თავისაში ღირეს ვერ ამჩნე-
ვენ. ორივე შემთხვევაში მათ ამგვარ მოქმედებას

აქვს თავისი გასამართლებელი საბუთი: ისინი სიძ-
ველის ნაწილს წარმოადგენენ და ვინ იცის იმ ხანა-
ში, რომელსაც აღნიშნული „ისკაპემიები“ ეკუთვ-
ნიან კაცობრიობა როგორ აზროვნებდა.

დღეს, მაგალითად, არც ერთი მწერალი არ
იტყვის მიცვალებულზე „საქონელსაგით დამარხე-
სო“, რა წესითაც უნდა დაიკრძილოს იგი. დ. კალა-
ნდაძე ამას განგებ ორჯერ იმეორებს, თითქო ისე-
თი რამ ეთქვას, რომელიც მას საქონლისგან ან-
სხვავებდეს. ამას კი სწორეთ საქონელი იტყოდა
ლაპარაკი რომ შესძლებოდა და ვწუხართ რომ დ.
კალანდაძეს, როგორც გამონაკლისს მათში, საშუა-
ლება აქვს არა თუ ილაპარაკოს საქონლის სათქმე-
ლი, არამედ კი დევატ სწერს ნაციონალ დემოკრა-
ტიების გაზეთ.

ამის შემდეგ განა უნდა გაუყვირდეს ვისმე, თუ
რისთვის გადაუდგა სოციალ დემოკრატის ხიდის-
თაველი გლახობა და რატომ მიეკვდლა ნაციონალ-
დემოკრატებს? არა - მგონია დ. კალანდაძის აღმო-
ჩენის შემდეგ ასეთი გადაჯგუფება მოულოდნელი
დარჩეს.

მადლობა ღმერთს! ერთი კანდიდატი მინც
ეყოლება აღნიშნულ პარტიას დამფუძნებელ კრებისა
თვის. **ანდრიე კოლოტე.**

მაკე გადაება.

(ყანწურთ სტილით.)

ლხენით გაღეშილ ჩემს წითელ გულს, აგიზგიზებ-
გულს

ყრუ, ბრუტიანი შავი ბინდი გადაეხურა;
და წითელ სიცილს, სიცილს ეღვით აეღვარებულს
ვერაგი ცრემლი ზედ დაეცა, გადაეპურა!

გულის კოფოზე წამოსკუბდა ფიქრთ უბრლო ჯარი;
აღარ მშორდება მე ზანება შივი კატისა;
სული მღვღვარებს ვით დრაკონი მხრებ დანაქარი.
აჰ, ცხვირს მიწუხებს მე სიმყრალე დამალ ბატისა!
ვიშ! აღ ფრინველი ვგრძნობ შავდება ვერ წითელ-
კვერცხობს,

ყურს, ელანდება გლოვის ზარი და სულთათანა;
მანეთიანი ვერ შაურობს და ველარ ვერცხლობს.—
ჩემს სამოთხეში დაჩინდრიკობს უცრხვი სატანა!..

ეჰ, გაქრეს ბარემ ეგ ცხოვერება სულ-კატინი,
ჩაქრეს პატრუქი საბედშავო კელტატარისა.

ძულევით შემძულდა მე ეგ პური შავ-ლუკმიანი
არ მსურს რომ გავხდე დასაცინი ჯოჯო-მკედარისა!..

პოდბიკენტა.

გათენდა?

(სიღნაღელ მომღერალ ბადის სხელი მუსუმაზი)

არა, არა, ჯერ არ გათენებულა...
ველისციხეს სძინავს, არ გაღვიძებულა!
მათი განთიადის ცისკარი აუ ამოსულა
და შეგნების ცისარტყელა გაპარვით, წასულა!..

ეჰ სოფელო, შენ სოფელო და ისევე სოფელო;
არავისთვის კარგისთვის არ მყოფელო!
როდემდისინ, უნდა ეგდო ტანაშე,
დიდ-პატარას ჰბერვიდე შენს ტალახში?

ველისციხევე, საღათას ძილის აფთექარო,
ფუქსავატო და სახალინის ქარო!
აბა, ერთხელ, მოიფშენიტე თვალეღვი
დაინახე-როგორ გაგარვენ ბატონო-კაცუნები...

ეჰ სოფელო, შენ სოფელო და ისევე სოფელო,
დღე და ღამე უმეცრებაში მყოფელო!
სულს გართმევენ, ტყავს გაძრობენ არ გესმის
ვის ემდური შენი ტანჯვა ვის ესმის?

ნამდვილ, შენსთვის ჯერ არ გათენებულა
დასაჭირო ცის კარი არ გაღებულა!
მაშ რიდასთვის იწოდები ველისციხეთ,
სულის მაზანი არ განათვლენ „ქაჯთა ციხეთ“?

იღონდაც, რომ ღირსი შეიქმნებოდი
თუ, სულიყო, „ქაჯთა ციხედთ მართლაც გარდი-
ქმნებოდი“!..
ძღარბი

წერილი ახალგაზრდა მასწავლებელს!

ძვირფასო და ყოველ წამში წაღმა-უკულმა
სახსენებელო, ძმო ცეცე! უწინარეს ყოვლისა
ღმერთსა ვსთხოვ კარგად წიყვანოს შენი თავი და
შენი საქმე. ახლა, იმედია, გაგასენდება ცხონებული
სოლომონ ზურგიელიძის სიტყვები: „ნუ დაჰკარგავ
ძველსა გზასა, ნურცა ტალახს და ნურცა შოსესაო
და მეც მომიგონებ, ღმერთმა მოგიგონოს, ქე ვარ

ისეთ ალიქორთულათ: არც რეაქციონერი ვარ, არც
რევოლიუციონერი; არც პროვოკატორი ვარ, არც
ავიტატორი. სტრატეგიული მოსაზრებით ვიცავ
ნეიტრალიტეტს, თუმცა გულით ძალიანი რევო-
ლიუციონერი ვარო.

სხვა რა ქენი ძმოო ცეცე! შესდგი თუ არა
ფეხი პედაგოგიურ ასპარეზზე და, თუ შესდგი, რო-
გორი ყოფილა სახალხო მასწავლებლობა. გახსოვს
ჩვენ ჯერ კიდევ სემენარიის კედლებში ფიცსა
ვსდებდით, რომ ხალხის გულისათვის თავი დავდო-
თო. ახლა რა ქენი, ძმოო, ხომ არ უღალატე პრინ-
ციპს? შენი არ ვიცი, ძმოო და მე კი, რუსები რომ
იტყვიენ, „რაზოჩაროვანიე“ მივიღე ზიარების მა-
ღღმა. მე როგორც გვევიგე, შენთვის კაი ბაჩალი
სოფლის მასწავლებლობა უბოძებთან. მასწავლებე-
ლი, თუ მასწავლებელი? აი კითხვა რომელიც მება-
დებდა მე. ბიჭო, რამდენი ვთხუე ძველი რეჟიმის
ინსპექტორს და ახალი რეჟიმის კომიტეტს ადგილი
მომეცით მეთქინ, მარა ყველამ ცივი ვარი მტკუცა.
აქედან აშკარაა, რომ „კომისარი“ ფსევდონიმია
„ინსპექტორისა“. ჯერ სიკვდილი, მერე მასწავლებ-
ლობაო—ასე ბრძანა ბაბა კომისარმა. არა, ძმოო
ცეცე! არ მოგატყუოს ვინმემ, სოფლის მასწავლე-
ბელიზა არ გათენებულა და არც გათენდება. მერე
კაცო იგი მამა ცხონებულები იმას ველარ ატყობენ
რომ მე პოზიციაზე არ გამოვდგები? აქანე იმ პე-
დაგოგულებს მაინც კი ვაჯობებდი ახლა რომ პე-
დაგოგუობენ. ხომ გახსოვს, ძმოო ცეცე, ერთხელ
რა რიხიანათ მივეცი სანიმუშო გაკვეთილი ბუნების
მეტყველებიდან: песчинки ударяются о горы,
горы разрушаются.—მეთქინ და აბა კლასში იმ-
ფერი დისკოპლინაც კი მქონდა, რომე ჩემ გაკვე-
თილზე ბაღნები კრინტს ვერ დასძრავდენ. ხო და
ამისანა კაცი ქე უნდა წაართვან სოფელს. აფსუს
მერაბა!

აწი, ძმოო ცეცე, მე ჩემს სპეციალობაში ვე-
ლარ გამოვდგები რაც რომ ვარი მითხრეს, ავდექი
და ფეხე ვავაყენე თფილის ქალაქში. ხან კომი-
ტეტის სეკრეტარი ვიყავი და ხან კიდო სეკრეტა-
რის კომიტეტი: ახლა თფილისის „ფაბრიჩნი ინს-
პექტორათ“ მასახლებენ, მარა ჩემს ადგილს უთ-
მოზ სტრატეგიული მოსაზრებით, აქაური თამბაქოს
ქარხნები სულ მე მამარია და თუ გინდა ზებირათ
გეტყვი რამდენი მუშაა: „ბოხარჯიანცის“, „ენ-

ფიანჯიანცის“, „საფაროვის“, „სელიანოვის“, „კომეტის“ და „მირის“ ფაბრიკაზე, რამდენი ქალია იქ ქმრიანი და უქმრო, მოხუცი თუ ახალგაზრდა, რამდენი გამხდარა მათში უბრაველიიშის თუ „ზავედე“ მსხვერპლი, ლამაზი ქალები ისე დამტრიალებენ თავზე, როგორც ქორი წიწილას, მარა შენ კარგად იცი მე ერთი პატარე კერპი მყავს და ის სულყველას მირჩენია. ახლა ამხ. ცეცე ბოროტი ვნები ამბობენ, ვითომ შენ კარგი ქალი გითხოვია და თან შედელებული(?) განა მეწარე ვიცი შენ, რომ მარუსიე გიყვარდა და სულ იმას ეკურკუმაღავებოდი? ხშირათ გითქვამს ამხანაგებში, ისე კი მიყვარს, რომ იმის გულიზა იმაშიც გადავარდებო. მარა, არა მხოლო ცეცე, ახლა დავრწმუნდი, რომ სიყვარული არ არსებობს ამ ქვეყნიურათ. იგი მხოლოდ შაბათ-კვარემდია. მარა მე მაინც მიყვარს ჩემი თამრო და არც უღალატებ იმას ჯერე. თითონ იმას ისე უყვარვარ, ისე, რომ მეტის მეტი სიყვარულით წერილსაც კი არ მწერს. რომ მნახავს, მაშინვე მეტყვის: ველარ-გუშეფელი ამ შენს სიყვარულს და მოდი ერთი ჯვარიც დევიწეროთო. ჭუკ, რა თქმა უნდა, პრინციპიალურათ ამის წინამდღევი არ ვარ, მარა ჯერ ვისწავლოთ: შენ გიმნაზია გაათავე, მე კიდევ უნივერსიტეტს გავათავებ და მერე თავი ქულში გვექნება შეთქი. არ შეგქამოს თხამ, რათ მიინდა შენი უნივერსიტეტი; ახლა თუ არ დევიწერეთ ჯვარი, მერე ან შენ დაგავიწყდები და ან მე შემომეჩვენვა ვინმე ბუღბუღლიო. ხო და ასე ესმის ჩემ პატარა კერპს სიყვარული. თუ დღესვე არ დამაჩაირე, მერე გაგექცევიო. მე სულ მადამ ვეუზნები: შენ ჩემი ხარ, მე შენი, გავიშვია ქენჩერი. ახლა, როგორც ვატყობ ჩემს თამროს, ჩემი გაპრაპორშიკება უნდა და მოდი ერთი მეც აუსრულო გულის წადილი. ერთს ჩავეშამარხანჯალ ლეკურ-ლეგროვიანდები და ბრეგას გავადენ ჩემს თამროსთან, მოდი, მხოლო ცეცე, და ერთი შენც გაპრაპორშიკდი, თუ გინდა, რომ შენმა ქვანქვადიამ სულში ჩავიფრინოს, რეგოლიუციაც დაიცვა და სამშობლოც იხსნა განსაცდელისაგან.

მარადის შენი გულითადი მეგობარი, ამხანაგი და მოქალაქე „გურული ბიჭი“.

რას ამბობენ?

(ქ ღუშეთი.)

ამბობენ: ღუშეთში რა არა ხთებო. ცხოვრება ხან წინ და ხან უკან დგებო. პარტიას აარსებს ყველა, ვინც გინდაო, ბრძოლა და კამათი გუზგუზებს წმინდაო. მქუხარე სიტყვებით კედლები კრთებო. საქმეს კი, ვერ ვხედავთ და გული კვდებო, ამბობენ: ღუშეთში მღვდლებია ბევრიო. ზოგსა აქვს მოკლე და ზოგს გრძელი წვერიო, ხალხში მათ ვერ ნახავთ, ხაცდარში სძინავთო. დღესაც იმ ნაირად, როგორაც წინათო. უკლიან მშვიდნი, ნადავლსა საქებსო. ღვინოს და გოჭის მკერდს, ინდოურ—ქათმებსო. ამბობენ: ღუშეთი, ცოდვებში დნებო, ქალწული იუნკერს არ ეკარებო.

ჭაგნელი ბიჭი.

გ ა მ ო ც ა ნ ა .

(ქღუ მ. ნ —ქს.)

ღვთის კაცია, გულ კეთილი, მიხაილათ წოდებული, ჯიბე იმზომ უძირო აქვს, ვერ აავსებს ქვეყნის გული.

საშვალოს და ტანათ მორგვსა,
 ღიბი დასდევს გაბერილი....
 (იმ სამშობლოს რალა უჭირს
 სადაც მრავლობს მისებრ შვილი!)

ქვრივ—ობლები და მუშები
 ჭირზედაც უფრო სძულსაო;
 ღვთის კაცი არის, რას ერჩით
 ემსახურება რჯულსაო!..

სოციალ—ფედერლისტობს
 მაგრამ ვაი თქვენს მტერსაო!..
 (ერთ წელს რომ ელაპარაკო
 ქართულს არ გეტყვის ღერსაო..)
 მოსწონს „კეთილი მამები“,
 ქართველ ბურჟუათ—კლასიო.
 მაგრამ სძულს გასაგონარად
 მხოლოდ შესამე დასიო.

ი. ქოროშასპირელი.

წერტილი თვალთახედვისა



ვაჭარი, როგორც წარმოდგენილი ჰყავს
 საზოგადოების უმრავლესობას.



იგივე ვაჭარი, თუ მის სიტყვებს
 დაეუჯერებთ.